სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

ანი ჭანია

# რას განვიხილავთ?

- სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, მისი შედგენა, წარდგენა და მასთან დაკავშირებული პროცედურები ✓
- სახელმწიფო შესყიდვებში გამოყენებული და ელ.სისტემაში ჩაშენებული მეთოდების და პროცედურის დეტალური მიმოხილვა, მათი გამოყენების თავისებურებები ✓
- რა შესაძლებლობა ეძლევა ბიზნესს სახელმწიფო შესყიდვებში? ✓
- შესყიდვებში მონაწილეობა მიმწოდებლების გაერთიანებული ძალისხმევით ამხანაგობის ფორმით ✓

# რა არის საჯარო შესყიდვები?



ანი ჭანია



საჯარო სექტორი(შემსყიდველი)



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო



ბიზნეს სექტორი (მიმწოდებელი)

ანი ჭანია

# შესყიდვების ციკლი



# შესყიდვის დაგეგმვა

## წლიური გეგმის შედგენა

- საჭიროების განსაზღვრა
- როდის უნდა განხორციელდეს შესყიდვა
- გეგმის შედგენა
- გეგმის განთავსება “ePlan” მოდულში

*წლიური გეგმის წარდგენა სავალდებულოა მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე*

## ინდივიდუალური დაგეგმვა

- შესასყიდი საქონლის, მომსახურები და სამუშაოების შესწავლა
- სსპეციფიკაციების/მოთხოვნების შემუშავება
- მიწოდების ბაზრის ანალიზი
- სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება

# წლიური გეგმის ნიმუში

**ელექტრონული გეგმის მოდული (ePLAN)**

გეგმის ნომერი

შემსყიდველი (კოდი/ID)

შემსყიდველი

თვითმმართველი ქალაქ

ანგარიშები

დაფინანსება

შესყიდვის საშუალება

შესყიდვის კატეგორია

შესყიდვის კატეგორია

CPV

თანხა (-დან/-მდე)

ერთწლიანი/მრავალწლიანი

წელი

რეგისტრირებული გეგმა

2020 წელი

ექსპორტი EXCEL-ში

| | CPV კოდები (ძირითადი) | დეტალური | სავარაუდო ღირებულება | შესყიდვის საშუალება | კვარტლები | შესყიდვის საფუძვლები | დაფინანსება | პრეისკურანტით | ორეტაპიანი | ალტერნატიული | ერთობლივი | კომენტარი | ჩაწერა | რედაქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 03100000 | 03100000 | 2`000 | გამ. შესყიდვა | I, II, III, IV | წარმომადგენლობითი ხარჯები | ადგილობრივი ბიუჯეტი | ✖ | ✖ | ✖ | ✖ | | იამზე ზოსიძე 07.02.2020 11:00 | იამზე 07.02.20 |
| 2. | 03100000 | 03100000 | 1`000 | გამ. შესყიდვა | I, II, III, IV | წარმომადგენლობითი ხარჯები | ადგილობრივი ბიუჯეტი | ✖ | ✖ | ✖ | ✖ | 👁 | იამზე ზოსიძე 20.11.2019 11:29 | თენგიზ ა 30.04.20 |
| 3. | 03200000 | 03200000 | 1`000 | გამ. შესყიდვა | I, II, III, IV | ზღვრების შესაბამისად | ადგილობრივი ბიუჯეტი | ✖ | ✖ | ✖ | ✖ | | იამზე ზოსიძე 20.11.2019 11:31 | იამზე 20.11.20 |
| 4. | 03200000 | 03200000 | 200 | გამ. შესყიდვა | I, II, III, IV | ზღვრების შესაბამისად | ადგილობრივი ბიუჯეტი | ✖ | ✖ | ✖ | ✖ | 👁 | იამზე ზოსიძე 20.11.2019 11:31 | თენგიზ ა 30.04.20 |
| 5. | 09100000 | 09100000 | 17`119 | ელ. ტენდერი | I, II, III, IV | | ადგილობრივი ბიუჯეტი | ✖ | ✖ | ✖ | ✖ | 👁 | იამზე ზოსიძე 20.11.2019 11:33 | იამზე 25.08.20 |
| 6. | 09100000 | 09100000 | 139`000 | კონს. შესყიდვა | I, II, III, IV | | ადგილობრივი ბიუჯეტი | ✖ | ✖ | ✖ | ✖ | 👁 | იამზე ზოსიძე 20.11.2019 11:32 | იამზე 15.10.20 |
| 7. | 09100000 | 09100000 | 69`460 | კონს. შესყიდვა | I, II, III, IV | | ადგილობრივი ბიუჯეტი | ✖ | ✖ | ✖ | ✖ | | იამზე ზოსიძე 20.11.2019 11:33 | იამზე 20.11.20 |
| 8. | 09200000 | 09200000 | 1`000 | კონს. შესყიდვა | I, II, III, IV | | ადგილობრივი ბიუჯეტი | ✖ | ✖ | ✖ | ✖ | | იამზე ზოსიძე 20.11.2019 11:35 | იამზე 20.11.20 |
| 9. | 09200000 | 09200000 | 3`000 | კონს. შესყიდვა | I, II, III, IV | | ადგილობრივი ბიუჯეტი | ✖ | ✖ | ✖ | ✖ | | იამზე ზოსიძე 20.11.2019 11:35 | იამზე 20.11.20 |
| 10. | 15300000 | 15300000 | 100 | გამ. შესყიდვა | I, II, III, IV | წარმომადგენლობითი ხარჯები | ადგილობრივი ბიუჯეტი | ✖ | ✖ | ✖ | ✖ | 👁 | იამზე ზოსიძე 07.02.2020 11:02 | თენგიზ ა 30.04.20 |

# შესყიდვის კატეგორია (CPV Codes)



# ბაზრის კვლევა და ინდივიდუალური დაგეგმვა

ბაზრის მოკვლევისათვის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას:

- ინტერნეტში
- მიმწოდებლების კატალოგებში/პრეისკურანტებში
- ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია
- გარკვეულ კითხვებზე პასუხის მიღება შეიძლება როგორც სხვა მომხმარებლების, ასევე პოტენციური მიმწოდებლების უშუალო გამოკითხვითაც

# სახელმწიფო შესყიდვის სრული ციკლის სწორი დაგეგმვა და წარმართვა



# შესყიდვის მოსამზადებელი ეტაპის მნიშვნელობა

არაკვალიფიციურად წარმართული დაგეგმვის პროცესი აისახება:

- დაგვიანებული ან/და გადაუდებელი შესყიდვებში;
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების მოკლე ვადების განსაზღვრაში;
- სატენდერო დოკუმენტაციის და ხელშეკრულების პირობების ცვლილებაში;
- რეალურ საჭიროებასთან შეუსაბამო საქონლის თუ მომსახურების მიღებაში ;
- შესყიდვის შემცირებული კონკურენციის პირობების წარმართვაში;
- არშემდგარი ტენდერი და/ან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვებში.

სწორი დაგეგმვა შესყიდვების ციკლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და წარმატებული შესყიდვის ძირითადი წინაპირობაა!

## სახელმწიფო შესყიდვებში გამოყენებული და ელ.სისტემაში ჩაშენებული მეთოდების და პროცედურის დეტალური მიმოხილვა, მათი გამოყენების თავისებურებები

# 2010 წლიდან დღემდე სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში დანერგილი შესყიდვის საშუალებები (პროცედურები)

| პროცედურა | აბრევიატურა | საფუძვლები | ელექტრონული სერვისის არსებობა |
|---|---|---|---|
| გამარტივებული შესყიდვა (პირდაპირი შესყიდვა) | CMR | - შესყიდვა ერთგვაროვან საქონელზე 5,000 ლარამდე<br>-კანონით ნებადართულ განსაკუთრებულ შემთხვევებში | ელექტრონულად არ ხორციელდება, თუმცა გამოქვეყნება ხდება eProcurement სისტემის სპეციალურ მოდულში. ფუნქციონირებს 2012 წლის მარტიდან. |
| ელექტრონული ტენდერი: ღია ტენდერი | | | |
| ელექტრონული ტენდერი | SPA | ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა:<br>• 5,000-დან 150,000 ლარამდე საქონელსა და მომსახურებაზე ან/და 150,000 და მეტი;<br>• 5,000-დან 300,000 ლარამდე სამშენებლო სამუშაოები ან/და 300,000 ლარი და მეტი; | ელექტრონული სერვისი. ფუნქციონირებს 2010 წლის დეკემბრიდან. |
| კონსოლიდირებული ტენდერი | CON | ზოგიერთი ერთგვაროვანი პროდუქტის შესყიდვა აგრეგირებული მოთხოვნის საფუძველზე: საწვავი, კომპიუტერები, A4 ფორმატის ქაღალდები, სატელეფონო (მობილური) კომუნიკაციის სერვისი, საბურავები, სატელემაუწყებლო მომსახურებები, უწყვეტი კვების წყაროები (UPS), პრინტერები და კარტრიჯები. | ელექტრონული სერვისი. ფუნქციონირებს 2012 წლის დეკემბრიდან. |
| კონკურსი | CNT | დიზაინთან დაკავშირებული ობიექტების/ პროექტების შესყიდვა შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ისეთები როგორიც არის არქიტექტურული, ინჟინრული დაგეგმარების, დიზაინერული პროექტები. | ელექტრონული სერვისი. 2015 წლის პირველი ივლისიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ კონკურსების პროცედურა 100 %-ით გააელექტრონულა. |
| ორეტაპიანი ტენდერი | MEP | საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა ფასზე და სხვა თვლად კრიტერიუმებზე დაყრდნობით. საუკეთესო კანდიდატის გამოვლენა ხდება ფასი-ხარისხის თანაფარდობით, რომელიც ითვლება სისტემაში ჩაშენებული უნიკალური ალგორითმის მეშვეობით, ე.წ. MEAT მეთოდით. | ელექტრონული სერვისი. 2016 წლის პირველი აგვისტოდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გაუშვა ეგრეთ-წოდებული „ორ ეტაპიანი“ ან როგორც ევროპული კანონ-მდებლობა მოიხსენიებს „ეკო-ნომიკურად ყველაზე მომგებიანი ელექტრონული ტენდერი“ |

| პროცედურა | აბრევიატურა | საფუძვლები | ელექტრონული სერვისის არსებობა |
|---|---|---|---|
| ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (ვაჭრობა დაფარული მონაცემებით) | NAT | ტენდერის ტიპი რომელიც მუშაობს როგორც ეგრეთ წოდებული „დალუქული კონვერტის პრინციპი“. ყველა პროცედურა იგივეა როგორც ელექტრონულ რევერსულ აუქციონში, თუმცა 3 დამატებითი რაუნდის მაგივრად წინადადების წარდგენა ხდება მხოლოდ ერთხელ. საუკეთესო შეთავაზების გარდა ყველა წინადადება რჩება დალუქული (ხელმიუწვდომელი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის) იქამდე სანამ ტენდერს მიენიჭება საბოლოო სტატუსი (გარდა სტატუსისა „ტენდერი შეწყვეტილია“). | ელექტრონული სერვისი. 2016 წლის პირველ ივლისს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გაუშვა ახალი პროცე-დურა: „ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე“. |
| შესყიდვის განსხვავებული პროცედურა სამშენებლო სამუშაოებზე | DAP | პროცედურა მიმდინარეობს ე.წ. პრეკვალიფიკაციის გზით. პრეტენდენტები წარმოადგენენ სატენდერო წინადადებებს, საკვალიფიკაციო დოკუმენტებს და ხარჯთაღრიცხვას. მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია შეაფასებს ყველა პრეტენდენტს, სატენდერო პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტს, დადგენილი წესით, მოიწვევს ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. | ელექტრონული სერვისი. 2016 წლის პირველ დეკემბერს ამოქმედდა სამშენებლო სამუ-შაოების შესასყიდად გამოცხადე-ბული ტენდერების განსხვავე-ბული წესი. |
| ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით | TEP | ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით, რევერსული აუქციონის გზით. მას შემდეგ რაც პრეტენდენტები წარმოადგენენ სატენდერო წინადადებებს და საკვალიფიკაციო დოკუ-მენტებს, შემსყიდველი ორგანიზაცია აფასებს მიმწოდებლების დოკუმენტაციას, ხოლო მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე იმართება რევერსული აუქციონი, ხოლო გამარჯვებული გამოვლინდება ყველაზე დაბალი ფასის მიხედვით. | ელექტრონული სერვისი. 2017 წლის სექტემბრიდან დაინერგა შესყიდვის ახალი საშუალება, რომელიც ვრცელდება შესყიდვის ყველა ობიექტზე (საქონელი, სამშენებლო სამუშაოები, მომსახურება). |

# eProcurement სისტემაში ჩაშენებული სხვა შესყიდვის საშუალებები

| პროცედურა | აბრევიატურა | მუშაობის პრინციპი |
|---|---|---|
| GEO ტენდერი (შესყიდვის ელექტრონული პროცედურა) | GEO | • საქონლის ან მომსახურების შესყიდვა დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს.<br>• გამოიყენება ასევე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას; რეგლამენტირებულია საქართველოს მთავრობის სპეციალური დადგენილებით. |
| DEP ტენდერი (შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით) | DEP | შესყიდვის პროცედურები დონორის სახსრებით (მსოფლიო ბანკი-WB, ევროპის საინვესტიციო ბანკი-EIB, აზიის განვითარების ბანკი-ADB, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი -MCA Georgia, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო -JICA; UNHCR, სხვა) . |
| GRA (საგრანტო კონკურსი) | GRA | შესყიდვის პროცედურა, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო უწყებების/ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ჩასატარებლად. |

# ელექტრონული კატალოგი eMarket




| # | დასახელება | მიმწოდებელი | ფასი | ნახვა |
|---|---|---|---|---|
| 1 | Naftifine | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 9.50 | |
| 2 | Naftifine | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 11.32 | |
| 3 | Cassia+Rheum+Sulfur+Carbo activ+Menthae* | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 3.10 | |
| 4 | Pyritinolum | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 33.70 | |
| 5 | Lornoxicamum | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 44.00 | |
| 6 | Nonivamide+Nicoboxil | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 9.00 | |
| 7 | Acetylsalicylic acid | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 8.79 | |
| 8 | Fibrinogenum+Thombinum | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 105.00 | |
| 9 | Piroxicam-Betadexum | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 28.00 | |
| 10 | Piroxicam-Betadexum | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 28.00 | |
| 11 | Deproteinized sanguinem vit.hemoderivat | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 71.10 | |
| 12 | Deproteinized sanguinem vit.hemoderivat | შ.პ.ს. "ავერსი–ფარმა" | 30.46 | |

***eMarket-*** წარმოადგენს ელექტრონულ კატალოგს რომელიც 2016 წელს დაინერგა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ. მასში მოცემულია ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის, მოდელის, ეკონომიკური ოპერატორის, მწარმოებელი ქვეყნის, მიწოდების ადგილის, ფასებისა და სხვადასხვა სპეციფიკაციების შესახებ.

# რას განვიხილავთ?

- რა შესაძლებლობა ეძლევა ბიზნესს სახელმწიფო შესყიდვებში? ✓
- შესყიდვებში მონაწილეობა მიმწოდებლების გაერთიანებული ძალისხმევით ამხანაგობის ფორმით ✓

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# საინტერესო ციფრები

- 2010 წლიდან დღემდე სისტემაში რეგისტრირებული შემსყიდველების რიცხვმა **4,481** შეადგინა
- 2019 წელს სახელმწიფო შესყიდვების ჯამური ხელშეკრულების თანხამ **5 მილიარდ ლარს** გადააჭარბა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის **11%**, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის დაახლოებით **63%** შეადგენს
- 2019 წელს **34,300-მდე** ღია ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა სისტემის მეშვეობით
- გამოცხადებული ტენდერებიდან დაახლოებით **80%-ის** სავარაუდო ღირებულება **50.000** ლარზე ნაკლებია
- საშუალო ეკონომია სავარაუდო ღირებულების **10%-ს** შეადგენს (**1.7 მილიარდი ლარი 2010 წლიდან დღემდე)**



# არარეზიდენტი მიმწოდებლები სისტემაში




**72** ქვეყნის **1,700** ზე მეტი არარეზიდენტი მიმწოდებელი

# კერძო სექტორი (მიმწოდებელი)

საშუალო მონაწილეობა 2.14

საქონელი 1.95

სამშენებლო 2.91

მომსახურება 1.83



| | საშუალო მონაწილეობა წლების მიხედვით |
|---|---|
| 2011 წელი | 1,73 |
| 2012 წელი | 1,75 |
| 2013 წელი | 2,01 |
| 2014 წელი | 2,02 |
| 2015 წელი | 2,05 |
| 2016 წელი | 2,14 |
| 2017-2018 წელი | 2,14 |

# ამხანაგობის ფორმით რეგისტრაცია

- ელექტრონულ ტენდერში ერთობლივად მონაწილეობის მიზნით, ორ ან რამდენიმე მიმწოდებელს უფლება აქვს, გაერთიანდეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით. მხარეთა შეთანხმებით ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს ერთ ან რამდენიმე ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მიზნით

- ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას მიმწოდებლები დებენ წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს მისი ყველა მონაწილე. მონაწილეთა შეთანხმებით, ხელშეკრულება ან მათი ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა

- ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების დადების შემდეგ, ამხანაგობა ვალდებულია, დადგენილი წესით, დადგეს საგადასახადო აღრიცხვაზე და დარეგისტრირდეს სისტემაში. სისტემაში რეგისტრაციისთვის აუცილებელია ამხანაგობის მონაწილე ყველა მიმწოდებელი იყოს რეგისტრირებული სისტემაში. ამხანაგობის პროფილში მიეთითება მისი მონაწილე მიმწოდებლების რეკვიზიტები და იტვირთება ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება (არსებობის შემთხვევაში ატვირთვას ექვემდებარება ამ ხელშეკრულებაში შემდგომი ცვლილებებიც).

# ამხანაგობის ფორმით რეგისტრაცია

- ელექტრონულ ტენდერში ამხანაგობა მონაწილეობას იღებს და სატენდერო წინადადებას წარადგენს, როგორც დამოუკიდებელი პრეტენდენტი. ამხანაგობასა და მის მონაწილეებს ეკრძალებათ ერთსა და იმავე ელექტრონულ ტენდერში ინდივიდუალურად მონაწილეობა

- ამხანაგობის მონაწილეები უფლებამოსილი არიან, შეასრულონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სხვადასხვა ნაწილი, თუ შესაძლებელია მათი გამოცალკევება მთლიანი ვალდებულებიდან და დამოუკიდებლად შესრულება, იმგვარად, რომ აღნიშნულმა, ალბათობის მაღალი ხარისხით, არ უნდა გამოიწვიოს საბოლოო შედეგის განადგურება, დაზიანება ან/და შედეგით სარგებლობის შეუძლებლობა. ამხანაგობის მონაწილეებმა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ, თუ თითოეული მონაწილე კონკრეტულად რომელ ვალდებულებას შეასრულებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში

# ამხანაგობის ფორმით რეგისტრაცია

- ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა ეკრძალება იმ ამხანაგობას, რომლის მონაწილეც რეგისტრირებულია შავ სიაში

- ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეები შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად

- თუ ამხანაგობის მიმართ წარმოიშვა შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი, სააგენტოს სათანადო გადაწყვეტილება მიიღება, როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების მიმართ

- ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტა იწვევს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტას. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეები პასუხს აგებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტით დამდგარი შედეგისთვის

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# გმადლობთ ყურადღებისთვის

ანი ჭანია - ანალიტიკური სამსახურის უფროსი
+995 555 525 525
achania@spa.ge

# რას განვიხილავთ?

- მონეტარული ზღვრები
- Contract Management-ის კომპლექსური პროცესი. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა
- შესყიდვების განხორციელება დონორების სახსრებით „DEP-ტენდერები“

# ელექტრონული ტენდერის ჩატარების მონეტარული ზღვრები და ვადები




| შესყიდვის საშუალება | ობიექტი | ზღვარი | ვადა |
|---|---|---|---|
| ელექტრონული ტენდერი | საქონელი და მომსახურება | 5,000 -დან 150,000 ლარამდე | 7 (5+2) კალენდარული დღე |
| | | 150,000 ლარი და მეტი | 10 (7+3) კალენდარული დღე |
| | სამშენებლო სამუშაოები | 5,000 -დან 300,000 ლარამდე | 10 (7+3) კალენდარული დღე |
| | | 300,000 ლარი და მეტი | 20 (15+5) კალენდარული დღე |

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# ზოგადი მონაცემები



*ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეთა საშუალო რაოდენობა თუმცაღა ითვლება, რომ კონკურენციის დონე სახელმწიფო შესყიდვებში ჯერ კიდევ დაბალია.*

1. განხორციელდა რიგი CPV კატეგორიებზე დაკვირვება

2. განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის დეტალური შესწავლა

3. შეირჩა ის შესყიდვის კატეგორიები (CPV კოდები) რომლებზეც საშუალო მონაწილეობა მაღალი იყო, როგორც წესი 2 და მეტი პრეტენდენტი იყო, თუმცა რიგ შემთხვევებში შეინიშნებოდა 1 პრეტენდენტიანი ტენდერები

ანი ჭანია

# მაგალითები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY



CPV კოდი: 39100000 - ავეჯი

ტენდერით მოთხოვნილია ავეჯის დამზადება შემსყიდველის ნახაზების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 დღის ვადაში (5 მაგიდა, 3 კარადა, 1 ტუმბო, 1 სამზარეულოს ნაკრები). მიგვაჩნია, რომ 7 დღე არაგონივრულად მოკლე ვადაა ინდივიდუალური დიზაინისა და ზომების მქონე ავეჯის დასამზადებლად. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური დიზაინისა და ზომების ავეჯის მოთხოვნა ზღუდავს იმ კომპანიების მონაწილეობას ტენდერში, რომლებიც თავად არ ამზადებენ ავეჯს.

ანი ჭანია

# მაგალითები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

CPV კოდი: 39800000 საწმენდი საპრიალებელი პროდუქცია



სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნილია საკამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად
შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 50%-ის ოდენობით.
სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული სპეციფიკაციები არის ზედმეტად დაკონკრეტებული (მაგ. დეტალურად არის საწმენდი ნაჭრის ზომები - 35*30 და შეფუთვის რაოდენობა - 3 ცალიანი შეფუთვა.

ანი ჭანია

# მაგალითები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

CPV კოდი: 39100000 - ავეჯი

სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია ავეჯის დამზადება 70 დღის ვადაში (979 სკამი და 55 მაგიდა). დღეში გამოდის დაახლოებით 15 სკამის დამზადება. სატენდერო დოკუმენტაციაში დეტალურად არის გაწერილი მაგიდის ზომები, ხოლო სკამებზე საერთოდ არ არის ინფორმაცია მოცემული. ამას გარდა, მოთხოვნილია მასალა მოხარშული წიფელი.



ანი ჭანია

# მაგალითები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

**CPV კოდი: 79800000 - ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები**

გაზეთი უნდა ვრცელდებოდეს ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიაზე და უნდა ჰყავდეს არანაკლებ 500 ხელმომწერი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მსგავსი სახის ჩანაწერით იწვევს კონკურენციის შეზღუდვას.



# მაგალითები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY



CPV კოდი: 39100000 - ავეჯი

სატენდერო დოკუმენტაციაში წერია, რომ პროდუქტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რაც ბუნდოვანი ჩანაწერია. ასევე თითოეული პროდუქტი აღწერილია უკვე არსებული სურათით და პარამეტრებით. აშკარად მზა პროდუქტის აღწერაა პირდაპირ და არა სატენდერო დოკუმენტაცია, ანუ დოკუმენტაცია მორგებულია. გარდა ამისა საქონლის პარამეტრები ისეა აღწერილი, რომ არ ითვალისწინებს არანაირი ვარირების საშუალებას. დოკუმენტაციაში არა საქონლის ფუნქციური მახასიათებლებია გაწერილი, არამედ მისი ტექნიკური გადაჭრის პირდაპირი გზები, რასაც თავისთავად გავყავართ მხოლოდ კონკრეტულ პროდუქციაზე. შესაბამისად ტენდერი არის არაკონკურენტუნარიანი და ერთპრეტენდენტიანი.

ანი ჭანია

# მაგალითები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY



**CPV კოდი: 18200000 - გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი**

სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია დაახლოებით 800 ერთეული ტანსაცმელი, რომლის მიწოდების ვადაც განსაზღვრულია დეკემბრის ბოლომდე, მაშინ როცა ტენდერში წინადადების მიღების ბოლო ვადა არის 22 ნოემბერი, ხოლო მიმწოდებელთან ხელშეკრულება დაიდო 16 დეკემბერს. რეალურად ხელშეკრულების დადებიდან მიმწოდებელს დარჩა 2 კვირა 800 ერთეული ტანსაცმლის მისაწოდებლად, რაც არასაკმარისი დროა ამ რაოდენობის პროდუქტის დასამზადებლად. შესაბამისად ეჭვი ჩნდება, რომ საქონელი წინასწარ იყო დამზადებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თეორიულად შპს ტექსტილმა მოახერხა 2 კვირაში ამ რაოდენობის პროდუქტის წარმოება, საფუძვლიანია ვივარაუდოთ, რომ ამგვარ მასშტაბურ წარმოებას ვერ განახორციელებდა მცირე კომპანია, შესაბამისად დოკუმენტაციით მოთხოვნილია არარეალური ვადა მცირე მიმწოდებლებისთვის. საბოლოოდ ამგვარი მოთხოვნები ზღუდავს კონკურენციას, რის გამოც ტენდერში დაფიქსირდა ერთი მიმწოდებელი.

ანი ჭანია

# რა ტიპიურ ბარიერებს ვხვდებით?

- ბუნდოვნად აღწერილი შესყიდვის ობიექტი
- მოთხოვნილებების გადაჭარბებულად შეფასება
- უჩვეულო მოთხოვნები
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების არაადეკვატურად მოკლე მიწოდების ვადის განსაზღვრა
- მიმწოდებლების სპეციალიზების გაუთვალისწინებლობა
- შესყიდვების ბაზარზე აქტიური მიმწოდებლების საწარმოს ზომის გაუთვალისწინებლობა
- ტენდერის მიმდინარეობის მოკლე ხანგრძლივობა
- არახელსაყრელი გადახდის პირობების განსაზღვრა
- სეზონური ფაქტორების გაუთვალისწინებლობა
- შესყიდვის მოცულობასთან მიმართებაში არაპროპორციულად მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა (მაგ. ბრუნვა, გამოცდილება)



# შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

- 2014 წლიდან დღემდე გამოცხადდა დონორის სახსრებით **480** ელექტრონული შესყიდვა
- მხოლოდ 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ **485 მილიონი** ლარი შეადგინა

| დონორი | ტენდერების რაოდენობა | სავარაუდო ღირებულება |
|---|---|---|
| მსოფლიო ბანკი | 61 | 318 952 876 |
| ევროპის საინვესტიციო ბანკი | 31 | 143 540 825 |
| სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია | 8 | 11 066 802 |
| სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი | 4 | 9 311 483 |
| აზიის განვითარების ბანკი | 2 | 1 249 333 |
| ევროკავშირი | 2 | 820 942 |
| ჯამი: | 108 | 484 942 261 |



ანი ჭანია

# შესყიდვები დონორის სახსრებით -  DEP ტენდერები (შემსყიდველი ორგანიზაციები)



| N | შემსყიდველი ორგანიზაცია |
|---|---|
| 1 | საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი |
| 2 | საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო |
| 3 | გორის მუნიციპალიტეტის მერია |
| 4 | შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია |
| 5 | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| 6 | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| 7 | სახელმწიფო აუდიტის სამსახური |
| 8 | შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი |
| 9 | სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა |
| 10 | საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| 11 | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ |
| 12 | საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| 13 | Save the Children International-ის საქართველოში წარმომადგენლობითი ოფისი |



# შესყიდვები დონორის სახსრებით – DEP ტენდერები (დონორები)

- მსოფლიო ბანკი
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
- ევროპის საინვესტიციო ბანკი
- აზიის განვითარების ბანკი
- აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი
- გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო
- იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო
- გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
- ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი
- სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# გმადლობთ ყურადღებისთვის

ანი ჭანია - ანალიტიკური სამსახურის უფროსი
+995 555 525 525
achania@spa.ge